საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 20 0001231999

25/12/2020

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პ როგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს აკრედიტაციის პირობებს.

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;
ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2018 წლის 25 ივლისის №86 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.2.ცენტრის დირექტორის „შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფინანსების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ 2020 წლის 29 ოქტომბრის №1050533 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 11 დეკემბერს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ არგაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და გაცემული რეკომენდაციები.

2.5. საბჭო აღნიშნავს, რომ გაითვალისწინა 2020 წლის 11 დეკემბერს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე უსდ-ს წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული მზაობა გამოესწორებინათ სტანდარტის მოთხოვნების დარღვევები. საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, თოთხმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.შეწყდეს შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებული ,,ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფინანსების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1232003 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი №3).
4. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 25 დეკემბერს.

5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინასები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 25 ივლისის N86
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფინანსები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
12	კვალიფიკაციის კოდი	0204
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	25.12.2020
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად დ ა მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	25.07.2025